

შპს ახალი კაბინა
იხილეთ დამატებითი დოკუმენტი
გვარი
სახელი
ტელეფონი
ელფოსტა



წარადგინე ან შეაერთდი კაბინას



**ჩაერთე უმაღლესი საბჭოს
საქმიანობაში კორტალზე:**
chaerte.sca.ge



მისამართი:

ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. N 37

ტელ: (+995 322) 28 54 48 / (+995 322) 28 54 89
contact@sca.ge



**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო**



კაბინა



**ევროკავშირი
საქართველოსთვის**
Project funded by the European Union



ეს პუბლიკაცია მომზადებულია აჭარის უმაღლესი საბჭოს მიერ, ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მხარდაჭერით და, შესაძლოა, იგი არ გამოხატავდეს მათ შეხედულებებს.

რა არის პეტიცია?

პეტიცია არის მოქალაქეების ჩართულობის ქმედითი მექანიზმი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მათ, საკუთარი ხმით, მოთხოვნით და წინადადებით ცვლილებები შეიტანონ სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებში.

თუ გსურთ, თქვენი მოსაზრება ან მოთხოვნა პეტიციის სახით წარადგინოთ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ პეტიციაში მოყვანილი საკითხების უმაღლეს საბჭოში განხილვას არანაკლებ 200 მხარდაჭერის ხელმოწერა სჭირდება.

როგორ წარვადგინო პეტიცია?

პეტიციის წარდგენა შესაძლებელია, როგორც წერილობითი ფორმით, ასევე ელექტრონულად. ელექტრონული ფორმით წარდგენა შეუძლია ნებისმიერ პირს აჭარის უმაღლესი საბჭოს მოქალაქეთა ჩართულობის ვებ გვერდზე chaerte.sca.ge

ამისთვის საჭიროა, შეავსოთ მარტივი ფორმა და დადასტუროთ იგი კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით.



რა არის კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა?

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ფიზიკური ხელმოწერის ალტერნატიული საშუალებაა და მას იგივე იურიდიული ძალა აქვს.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა შესაძლებელია ID ბარათისა და მისი წამკითხველის საშუალებით.

დეტალური ინფორმაცია კვალიფიციური ხელმოწერის შესახებ განთავსებულია შემდეგ მისამართზე: <https://id.ge/>



როგორ დავუჭირო მხარი პეტიციას?

chaerte.sca.ge-ზე გამოქვეყნებული პეტიციის მხარდაჭერა შეუძლია ნებისმიერ პირს, მხოლოდ ერთხელ, სახელის, გვარის და ტელეფონის* მითითებით.

მითითებულ ტელეფონის ნომერზე პირს მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით ეგზავნება კოდი, რომლის ვებ-გვერდის შესაბამის ველში შეყვანით ადასტურებს პეტიციის მხარდაჭერას.



წარდგენილმა პეტიციამ, ყველაზე ცოტა, 200 ხელმოწერა, გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში უნდა შეაგროვოს.

ფიზიკურად წარდგენილი პეტიცია, რომელსაც არ აქვს 200 ხელმოწერა, ქვეყნდება chaerte.sca.ge-ზე. გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში ნებისმიერ მსურველს შეუძლია გახდეს მისი მხარდამჭერი და მოანეროს ხელი.

რა ეტაპებს გადის პეტიცია აჭარის უმაღლეს საბჭოში?

1

დადგენილი რაოდენობის მხარდამჭერების შეგროვების შემთხვევაში, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე პეტიციას გადასცემს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

2

ბიურო პეტიციას შესასწავლად და განსახილველად გადასცემს შესაბამის კომიტეტს.

3

კომიტეტი პეტიციას განიხილავს 1 თვის ვადაში და დასკვნას წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს.

4

ყველა გადანყვეტილება ქვეყნდება საბჭოს ვებ-გვერდზე და ეცნობება პეტიციის ავტორს.

*ტელეფონის ნომერი არ ქვეყნდება საჯაროდ